
თბილისი, აბანოს ქ. №2

მეფე ერეკლეს აბანო რეაბილიტაცია-ადაპტაციის პორექტირებული პონსტრუქციული პროექტი



თბილისი 2022

CAD style construction architecture design

საკვლევი ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში აბანოს ქ.#2-ში (ყოფილი ერეკლეს აბანო) და წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

აბანოს კედლები, კამარული და ნახევარსფერული გადახურვები აგურით არის ნაშენი. სხვადასხვა ფორმისაა კამარებისა და ნახევარსფეროს ცენტრში მოწყობილი სასინათლო ღიობების ნაშვერები. რკინაბეტონია ნახმარი ანტრესოლში.

აბანო ხეობის ტაფობზეა გამართული. მას სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ წაგრძელებული, ოდნავ ტრაპეციული გეგმარება აქვს. აბანოს შესასვლელი მოწყობილია ჩრდილოეთ მოკლე გვერდზე, მოკლე და ვიწრო ჩიხური შესასვლელის მხრიდან.

ჩრდილოეთიდან შესასვლელის შემდეგ წაგრძელებული დერეფანია, რომელიც სოლისებურად ვითარდება ბოლომდე და მის გაყოლებით დასავლეთიდან ჩამწკრივებულია საკუთრივ აბანოს სათავსოები. სამი ორსათავსოიანი აბანოს ნომერი და ბოლოში ოთხსათავსოიანი. სამხრეთ ფლანგზე ამოზრდილია ამ ნომრის მოზრდილი დარბაზის ნახევასფერული გუმბათი, სასინათლო ღიობებით. დანარჩენი სათავსოების გადახურვები კი სხვადასხვა ფორმის მოცულობებით ვლინდება სივრცეში. მოზრდილი გუმბათის ჩრდილოეთით კიდევ სამი მომცრო კამაროვანი ოვალია ამოზრდილი. ანტრესოლის გადახურვა თარაზულია.

აბანოს ინტერიერი დასავლეთ ნაწილში ერთდონიანია, აღმოსავლეთით კი მთელ სიგრძეზე წაგრძელებული ანტრესოლია მოწყობილი სამეურნეო საქმიანობისათვის. რომელშიც დერეფნის ბოლოში მოწყობილი ორმარშიანი რკინის კიბით ავდივართ. ორი დამხმარე მართკუთხა სათავსოა მოწყობილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხესთან.

დაგეგმილი ერთ-ერთი სარეაბილიტაციო ღონისძიება მოიცავს შემდეგ სამუშაოებს, უნდა მოიხსნას არსებული რკინაბეტონის ანტრესოლი და მოეწყოს მსუბუქი, ნესტგამძლე მასალით თარაზული გადახურვა.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით გათვალისწინებულია ფასადების გაწმენდა გამარილებისაგან, სახურავზე არსებული სავენტილაციო ფანჩატურების (3 ცალი) გადაწყობა და დაშლილი საფასადე აგურის წყობის აღდგენა. დერეფნის ბოლოში ხვეული რკინის კიბის ნაცვლად ეწყობა ორმარშიანი რკინის კიბე.

აღსანიშნავია, რომ ვიზუალური დათვალიერების შედეგად აბანოს კედლებს და გადახურვის სიბრტყეებს არ აღენიშნება ჯდენითი ან რაიმე სხვა სახის დეფორმაცია. მზიდი კონსტრუქციები საღია და ჯანმრთელია.

პროექტის კორექტირებით ზემოთ აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები, აბანოს ელემენტების (საძირკვლის, კედლების და ა.შ.) მდგრადობას საფრთხეს არ შეუქმნის.

კონსტრუქტორი: დავით ბოსტოღანაშვილი

21.12.2021 წელი

წინამდებარე პროექტში ასევე გათვალისწინებულია მეტალის, მსუბუქი კონსტრუქციის, შემინული ნაგებობის და სახურავზე დაგეგმილ ტერასაზე ასასვლელი მეტალის კიბის მოწყობა.


მეტალის ორივე ნაკეთობა წარმოადგენს ცალკე მდგომ ნაგებობას, რომელიც უნდა დამონტაჟდეს არსებულ ბეტონის იატაკზე, ჩაანკერებულ ლითონის ფურცლებზე.


საპროექტო მეტალის კონსტრუქციები წარმოადგენს დაბალი რისკ-ფაქტორის, I კლასის ნაგებობებს.


CAD style construction architecture design

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	დამკვეთი	მისამართი	მასშტაბი	ნახაზის დასახელება	
დირექტორი	ი. გამყრელიძე		შ.პ.ს "ჯრელი აბანო"	ქ.თბილისი, აბანოთუბანი, აბანოს ქ. №2	-	განმარტებითი ბარათი	
პროექტის ავტორი	ი. გამყრელიძე		პროექტის დასახელება		სტადია		
კონსტრუქტორი	დ.ბოსტოღანაშვილი		ერეკლეს აბანოს რეაბილიტაცია - ადაპტაციის კორექტირებული პროექტი			ფურცლის №	ფორმატი
არქიტექტორი	ი. გამყრელიძე						A3


რკინის ორმარშიანი კიბე








რკინის ორმარშიანი კიბე






— გამოქარული, ამორტიზებული და განლეული საფასადე აგურის წყობის რეაბილიტაცია (გადაწყობა-ამოგზნება)

— ჯედლის გაწმენდა გამომარილებებისაგან და წვიმის წყლის ნალექებისაგან


თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	დამკვეთი	მისამართი	მასშტაბი	ნახაზის დასახელება
დირექტორი	ი. გამყრელიძე		შ.პ.ს "ჯრელი აბანო"	ქ.თბილისი, აბანოთუბანი, აბანოს ქ. №2	1 : 100	რკინის ორმარშიანი კიბე
პროექტის ავტორი	ი. გამყრელიძე		პროექტის დასახელება		სტადია	
არქიტექტორი	გ. სუმბაძე		ერეჯლეს აბანოს რეაბილიტაცია - ადაპტაციის პორექტირებული პროექტი			ფურცლის № / ფორმატი
არქიტექტორი	ი. გამყრელიძე					A3

CAD style construction architecture design


საპროექტო მსუბუქი კონსტრუქცია
აბანოს მისაღები




გეგმა



სახურავის გეგმა







CAD style construction architecture design

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	დამკვეთი	მისამართი	მასშტაბი	ნახაზის დასახელება	
დირექტორი	ი. გამყრელიძე		შ.პ.ს "ჯრელი აბანო"	ქ.თბილისი, აბანოთუბანი, აბანოს ქ. №2	-	საპროექტო მსუბუქი კონსტრუქცია აბანოს მისაღები	
პროექტის ავტორი	ი. გამყრელიძე		პროექტის დასახელება		სტადია		
არქიტექტორი	გ. სუმბაძე		ერეკლეს აბანოს რეაბილიტაცია - ადაპტაციის კორექტირებული პროექტი			ფურცლის №	ფორმატი
არქიტექტორი	ი. გამყრელიძე						A3